სანდრო ტაბატაძე •

ულტრამემარჯვენეობის კვლევა საქართველოში: ქართული აკადემიური ლიტერატურის თავისებურებები

აბსტრაქტი

მოცემული მიმოხილვის მიზანია გამოკვეთოს ულტრამემარჯვენეობის იდეისა და პრაქტიკის კვლევის მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოში. ამდენად, თავდაპირველად ჩამოყალიბებულია, საკითხით დაინტერესების შესაძლო განმაპირობებელი ფაქტორები, შემდეგ ჩამოთვლილია სამეცნიერო ბაზებში არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა და შედარებულია, არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიის თავისებურებები.

დღესდღეობით მსოფლიოში ულტრამემარჯვენეობა დღითიდღე უფრო აქტუალური ტერმინი ხდება. ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება, ჰქონდეს. ჯერ ერთი, ულტრამემარჯვენეობა დასავლური პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა და, რამდენიმე ათეულ სახელმწიფოში, მსგავსი ტიპის სოციალური მოძრაობები, ორგანიზაციები თუ პოლიტიკური პარტიები დიდი პოპულარობით სარგებლობენ და ზოგ შემთხვევაში, სამთავრობო კოალიციების წევრებიც კი ხდებიან. ამ თემის შესწავლა აქტუალური ხდება საქართველოშიც, რადგან ბოლო 6 წლის განმავლობაში სხვადასხვა ფორმითა და სახით, ულტრამემარჯვენე რიტორიკა საჯარო პოლიტიკური პროცესის ნაწილი ხდება. ეს განპირობებულია იმით, რომ „ქართული მარში“ და „ალტ ინფოს“ მოძრაობები პოლი-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი

ტიკურ პარტიებად გარდაიქმნენ და მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით მათ საარჩევნო წარმატებისთვის არ მიუღწევიათ, ანტი-დასავლური რიტორიკის გაძლიერებას შეუწყვეს ხელი. ამდენად, ბუნებრივია, რომ ქართული აკადემიური ლიტერატურა თანდათან გამდიდრება აღნიშნული თემაზე შექმნილი სამეცნიერო პუბლიკა-ციებით. თუმცა, ამისთვის, მნიშვნელოვანია არსებობდეს ე.წ ბიბ-ლიოგრაფიული ანალიზის მსგავსი ნაშრომები, რითიც შეჯამდება არსებული კვლევები და მიგნებები და შესაძლებელი იქნება დანაკ-ლისის ამოვსება. 2021 წლის სტატიაში, „მემარჯვენე რადიკალიზმის და ექსტრემიზმის ცნებები: ძირითადი მიდგომები და ქართულენო-ვანი ლიტერატურის ანალიზი“ წარმოდგენილია ულტრამემარჯვე-ნეობის თემაზე შექმნილი 18 ნაშრომი, რომელთა ნახევარი კვლევი-თი ორგანიზაციის მიერ შექმნილი პოლიტიკის დოკუმენტია, ხოლო დანარჩენები ან კვლევითი ანგარიშები ან სამეცნიერო სტატიები. შე-იძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით, ძირითადად აქტიურობენ სწორედ ის არასამთავრობო კვლევითი ცენტრები (think tanks), რო-მელთა ავტორებიც ამ მიმართულებით მუშაობენ. რაც შეეხება სა-მეცნიერო ნაშრომებს, ამ მხრივ გამორჩეულია ჟურნალი „პოლიტი-კა“, რომლის სხვადასხვა ნომერში ულტრამემარჯვენეობის თემა განსხვავებული მიმართულებებიდანაა შესწავლილი. ზემოთნახსე-ნები სამეცნიერო სტატიის ერთ-ერთი მიგნებაა, რომ ტერმინოლო-გიური გაურკვევლობის პრობლემა ჯერ დაძლეული არ არის და ავ-ტროთა ნაწილს არ აქვს განხილული, ულტრამემარჯვენეობის რო-მელ სკოლას უჭერს მხარს - ანგლო-საქსურს თუ გერმანულს. კვლე-ვის კიდევ ერთი მიგნებაა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში როგორც პო-ლიტიკის კვლევით დოკუმენტებში, ისე სამეცნიერო სტატიებში, კონკრეტული გაერთიანებები თუ პარტიები უპირობოდაა მიჩნეუ-ლი, როგორც ულტრამემარჯვენე.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ თემით განსაკუთრებით დაინტე-რესებულები არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციები არიან. ამ

მხრივ გამოირჩევა საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. შეიძლება ითქვას, რომ ცენტრებს შორის არსებითი განსხვავება საკითხისადმი ინტერესის, მისი ინტერპრეტირების ან შესწავლის თავისებურებების მხრივ, არ გვხვდება. ეს მიანიშნებს, რომ თითოეულ ნაშრომში ტერმინის გამოყენება, მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის მიდგომები მხოლოდ კონკრეტულ ავტორთან არის დაკავშირებული და მისი გადაწყვეტილებაა. ამ კომპონენტში მნიშვნელოვანი ნაშრომებია: თამთა გელაშვილის „ექსტრემისტული მემარჯვენეობის პოლიტიკური შესაძლებლობები საქართველოში"; და სალომე მინესაშვილის სტატია ქართული მართლმადიდებულური ეკლესიისა და ულტრამემარჯვენეობის თემაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ დისციპლინაში არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციების მიერ შესრულებული ნაშრომების უდიდესი ნაწილი არ არის ასახული სამეცნიერო საძიებო ბაზებში.

რაც შეეხება სამეცნიერო სტატიებს, ამ მხრივ აღსანიშნავია, მალხაზ მაცაბერიძის სტატია, რომელიც ქართულ ფაშისტურ დარაზმულობას ეხება და ეყრდნობა რადიკალური მემარჯვენე ექსტრემიზმისა და იდეოლოგიის ცნებებს, რის მთავარ მახასიათებლადაც ინტეგრალური ნაციონალიზმია მიჩნეული. ასევე, მნიშვნელოვანია, ნინო მაისურაძის კონტენტ-ანალიზის მეთოდზე დამყარებული კვლევა, რომელიც ოთხი ულტრამემარჯვენე გაერთიანების სოციალური ქსელის გვერდების იდეოლიგიური პროფილის ანალიზის ერთ-ერთი პირველი შემთხვევაა. ულტრამემარჯვენეობის ჰაინსვორთისეული განმარტებით, სანდრო ტაბატაძის სტატიაში შეფასებულია ოთხი გაერთიანების პოლიტიკური პოზიციები და ჩამოყალიბებულია ქართული ულტრამემარჯვენეობის შესაძლო მახასიათებლები. ასევე, საინტერესოა ეკა დარბაიძის სტატია, რომელიც

ფრანგული „ეროვნული ფრონტის“ გენდერული პოლიტიკის მახასიათებლებს სწორედ ულტრამემარჯვენე პოზიციებიდან ხსნის.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული აკადემიური ლიტერატურა ულტრამემარჯვენეობის შესწავლის თვალსაზრისით, მწირია. ჯერჯერობით არ არის მკაფიო კავშირი ერთი მხრივ, არასამთავრობო კვლევითი ორგანიზაციებისა, და მეორე მხრივ, სამეცნიერო სტატიებს შორის. მეტიც, მხოლოდ რამდენიმე მათგანი ეყრდნობა ერთმანეთს, რაც, მიუთითებს, რომ ქვედარგის განვითარება მოითხოვს უფრო აქტიურ შესწავლას, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ საჯარო პოლიტიკურ ცხოვრებაში, ულტრამემარჯვენე რიტორიკა უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

Darbaidze, E. (2020). The Rise of the Right-Wing Political Forces in France and the Successful Rebranding of the National Rally". *Politics/პოლიტიკა*.

Matsaberidze, M. (2020). From the History of the Georgian Integral Nationalism ("The Fascist Movement of Georgia"). *Politics/პოლიტიკა*.

Maisuradze, N. (2019). *Electronic Propaganda of Ideological-Political Platforms in Modern Georgia (Ideological Profile of Internet Editions of Georgian National-Patriotic Direction)* (Doctoral dissertation, Ivane Javakhishvili Tbilisi state university, Faculty of social and political sciences).

Gelashvili, T. (2020). Political opportunities for the extreme right in Georgia. *Terrorism and Political Violence*, *30*(5), 772-792.

Minesashvili, S. (2017). The Georgian Orthodox Church as a Civil Actor: Challenges and Capabilities. *Policy Brief*, (8).

Tabatadze, S. (2020). Political positions of far right movements in Georgian reality. *Politics/პოლიტიკა*.

Tabatadze, S. (2021). The Concepts of the Ridigal Right and Extremism: The Main Approaches and the Analysis of the Georgian Language Literature. *Politics/პოლიტიკა*, (5).

Sandro Tabatadze

Studying far right in Georgia: trends from academic literature

Abatsract

The paper aims to demonstrate the importance of styding the idea and practice of far right in georgia. Therefore, firstly the possible explanatory factors are proposed, relevant academic literature that are published in Georgian, is shown and comparison between non-governmental think tanks and academic jourals are made.